


გაზეთის ფასი:

გაზეთი	ფასი
მთის წლისა	6 მ. კაპ. 5 მან. კაპ.
ნახევარის წლისა	3 " " 2 " 50
სამის თვისა	1 " 75 1 " 50
მთის თვისა	1 " 60 " " 50
საღვ. ნომრისა	1 " 12 " " 10

განცხადებანი, "დროებაში", დასაბუდლო, მიიღება სხვა-და-სხვა ენებზე. ფასი განცხადების ჩვეულებრივის ასობით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით — ასოზე 1/4 კაპ.



ხელის მოწერა

მიიღება **თფილისში**: "დროების" რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე, სოლომონ მირიანოვის სახლებში.
ქუთაისში: ბერასიმე ძალანდა-რაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სე. მესხთან.
 ბარეში მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნის წერილი:
Въ Тифлисъ. Въ контору редакции газети "ДРОЕБА".

ბამოლის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

საკრლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მკვამ

შინაარსი:

საქართველო: მთიანის ბანკის საქმე — იმერეთის ამბები — "დროების" კორექტორების დენცია: მზურგეთი — პერილი — რუსეთი: წვრილი ამბები — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი — მსპანია — ავსტრია და მენგრია — შვეიცარია — ნარევი — ბიბლიოგრაფიული განცხადებები.

შეტყობა: შესანიშნავი შემთხვევა ჯანაბეთში, აკაკისა.

საქართველო

მთიანის ბანკის საქმე

ამ მოკლე ხანში შეიკრიბება სამეგრელოში თავდაზნაურობის ყრილობები, მანრა-მანრა, იმ კითხვის გადასაწყვეტად, უნდა შეუერთდეს სამეგრელოს საზოგადოება ქუთაისელს, ბანკის გამართვაში თუ არა. ეს ყრილობა, უეჭველად, ისე წაიყვანს საქმეს რომ ავად თუ კარგად მთიანის ბანკს მიაკვლევს სამეგრელოს ფულს, და სხვაფრივ მოქცევა სამეგრელოს საზოგადოებას არც მოუხერხდება, არც მოუხდება. იმ მკითხველ ფულით, რომელიც იმას აქვს, ის თავისას ვერას გამართავს, და სხვა ბანკთან შეერთება ისევე მთიანისელთან შეერთება სჯობია.

მაგრამ სამეგრელოს თავდაზნაურობა რომ ამ საქმეში გონიერად და წინაღობით მოიქცეს, ის არა თუ თავის თავს მოუ-

ტანს სარგებლობას, მთიანის ბანკის საქმესაც ხეირიანად დაეხმარება. სამეგრელოს საზოგადოებას შეუძლია მავალითად დააწესოს, რომ უერთდება მთიანის ბანკს იმ პირობით, რომ ამ ბანკის უსტაფი გადაკეთდეს ან შეიცვალოს, იმას უმჯობესი ხასიათი და უფრო მტკიცე საფუძველი მიეცეს დასხვ. იმედი ვიქონიოთ, რომ ის ასე მოიქცევა და თვალდაუხუჭლად არ გადაწყვეტს თავის სამომავლო საქმეს, გამოუტყვევლი და აღშფოთებული კენჭის ყრით და ყაყანით.

სამეგრელოში მოიპოვება რამდენიმე ახალგაზდა, რომელთაც თავიანთი ცოდნა და გავლენა — თუ კი აქვთ ეს ღირსებები — ეხლა უნდა მოიხმარონ. მნახოთ რა ნაირად მოიქცევიან ისინი. მნახოთ აგრეთვე როგორ საქციელს დაადგება ის ორიოდე ერთობ შემძლე პირები, რომელიც საქართველოში უწინდელი ფეოდალური ცხოვრების და წესის წარმომადგენელად ჩარჩენილან. მათი სიტყვით ენახოთ, ენახოთ.

ჩვენ მივიღეთ უფ. მრ. სიღამონ-მრისთვის პასუხი ჩვენ გამოწვევაზე ("დროება" № 29). ამ პასუხს ჩვენ შემდეგ ნომერში დაბეჭდეთ, და ეხლა კი მისი გამოგზავნის მადლობას უძღვნით უფ. სიღამონ-მრისთვის, რომელსაც გაუგია, რომ ამისთანა საქმეში ხმის ამოუღებლობა და გაჩუმება საზოგადოებისთვის საწინააღმდეგო და საძრანისი საქმეა.

მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეგვიძლია არ ვთქვათ, რომ ჩვენ მეტის მეტად გვაკვირ-

ვებს დანარჩენი პირების გაჩუმება, რომელნიც ბ. ლოლობერიძემ ან ჩვენ გამოვიწვიეთ ან მოწმეთ ეახსენეთ. მეტად საჭიროა, რომ იმათ თავიანთი შეხედულება გაცნონ ჩვენ საზოგადოებას, გაიხსენონ როგორ იყო საქმე, ვინ როგორ მოიქცა და რათ ან როგორ მოხდა უცაბედი გადაწყვეტა მთიანის ბანკის საქმისა. ამ გაჩუმებას მკითხველები ხათრის შენახვას მიაწერენ, ერთის ან მეორეს მხრის მორიდებით. ამის გამოისობით ჩვენ ხელმეორეთ ვთხოვთ უფ. ნ. აბაშიძეს, ნ. ჩიჯავაძეს, სპ. მაქაფარიანს, ბ. ხელთუფლიშვილს და სხვებს დასახელებულ პირებს, აუწერონ მკითხველ საზოგადოებას, როგორ მოხდა ეს ამბავი და როგორ წახდა მთიანის ბანკის საქმე. იმედი გვაქვს, რომ ამ ჩვენს თხოვნას პატივი ეცემა, მით უფრო, რომ ეს ჩვენს საზოგადოებას სარგებლობას მოუტანს.

უფ. შეს. ლოლობერიძის პროექტი მოგვივა თუ არა მთიანისადამ, მაშინვე დაბეჭდავთ მის გარჩევას, და იმედი გვაქვს, რომ ეს ძლიერ მალე მოხდება. მაგრამ ეს ჩვენი საქმის წაყვანის კითხვა და მოქმედების გამოკვლევა უსათუოთ უწინ უნდა გაიხსენოს და გადაწყდეს. ამას მოითხოვს ის გზა, რომელიც ჩვენ ამ საქმეს თავიანთი მივივით, და რომელსაც ჩვენ იმას არაფრის გულითვის არ ავაცილებთ, ამიტომ რომ ის ჩვენ უკეთეს გზათ მიგვაჩინა; არა თუ მარტო მთიანის ბანკის სარგებლობისთვის — ეს კერძობითი, შედარებით წერილობრივი საქმეა — მაგრამ შემდეგში ყველა ჩვენი

საზოგადოებრივი საქმეების წაყვანისა და პატრონობისთვის.

მაშასადამე ჩვენ დასახელებული პირების წერილებს ველით და ვუსდით.

ნ. სკანდელი.

იმერეთის ამბავი

მთიანის, 27 აგვისტოს 1873

"მთიანისის მოამბეს" რომ არ დავეშინებო, აი როგორ დაიწყო დღევანდელი ჩემ კორესპონდენცია: "აი კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი..." მაგრამ დღეს ამ ნაირ დასაწყისს მაზანდა წახდენია, და ამისთვის უდასაწყისოთ და უშესაყლოთ გავმართავ საუბარს და მოთხრობას.

პირველიდამ იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო, რომ ბორჯომიდან ხაშურამდი (27 ვერსზე) რკინის გზა უნდა გაიშართოსო. დღეს ნამდვილად შეეჩუქე, რომ ამ რკინის გზის ხაზის გამოსაკვლეველათ ინჟინრებიც გამგზავრებულან და გამოკვლევის ფულიც მიუღიათ. მაშასადამე ეს საქმე ბეჯითი ყოფილა. როგორც მითხრეს ამ რკინის გზის შტოს ერთ მილიონ ნახევრამდი ფული მოუნდება, და რკინის გზაც ძლიერ მალე უნდა გაშენდესო. დღით სასიამოვნოა ყველა ჩვენი ქვეყნის მოყვარეთათვის, რომ ეს მშენებრივი ბორჯომის ხეობა და ნარჩენ საქართველოს რკინის გზით შეუერთდება: ამით გასავალი და გზა მიეცემა ბორჯომის ნაწარმოებს და ბუნებით სიმდიდრეებს, და იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ

ფელტონი

ფანანიშნავი შემთხვევა ჯანაბეთში

მინ არ იცის, რომ ამოთ-მორწმუნება ჯანაბეთის ქვეყანაში უკიდურესს ხარისხამდე მიწვილილი ჰქონდეს შემთხვევაში, ქორში, თუ ლხინში, სხვა და სხვა შელოცვა-გამოლოცვაები აუცილებელს საქმეებს შეადგენენ ხოლმე. მიკვირს, როგორ სჯერათ ჯანაბეთელს ის შელოცვები; მაშინ როდესაც უმეტეს ნაწილს იმათგანში აზრიც არა მოიპოვება რა. მავალითად ავიღოთ ნადირის პირის შეკერის შელოცვა. როდესაც შინაური პირუტყვი დარჩება ღამე გარეთ, მაშინ მისი პატრონები, რომ ან ქურდმა არ წაიყვანოს და ან ნადირმა არ გააფუქოს მათი საქონელი, მოიტანებენ ოთხფეხ სკამს, გადააბრუნებენ, აბლაკენ, შეუკვრენ ოთხივე ფეხებს მაგრათ, ერთხელ და

ვარცხალს მიაკვრენ, მეორეხელ დგის, მესამე და მეოთხეხელ როდინის ქვას, ქვა-სანაყს, და შეულოცვენ შემდეგს:


"შენია, ბეგენია, ბერსა ხატი სევენებია, მეუფეთა, ჩამოაგდე ხმბარკალი რკინისაო, ნადირს პირი შეუკარი და მეკობრესა ხელ-მხარი, ნუ გაუშვებ გზაში, მადაგდე ზღვაში, მაღლა გავლ მარასაო, პურს წაიჭიმ პრასასაო... მგელი მოდის ველ-საო, ქბილები აქვს ვერცხლისაო, მთალები აქვს ცეცხლისაო, ღმერთო შეჭარ და შებორკე, ძალა მიეც მერცხლისაო!"

ამ შელოცვის შემდეგ საქონლის პატრონი სრული დარწმუნებულია, რომ მის პირუტყვს ქურდი, ანუ მეკობრე, როგორც შელოცვაშია მოხსენებული, ვეღარ წაიყვანს და მგელი ან სხვა რა ნადირი თუ მივიდა, ვერას ავნებს, რადგანაც კბილები შეკრული ექნება და მარტო საცოდავთ ზუილის მკვლევარს მოახერხებს. დილას კი ადრე

ახსნიან სკამს და გამოულოცვენ, რადგანაც ჰეიკრობენ, რომ სანამ არ გამოულოცვენ, ზღვაში გემები გაჩერდებიან და დიდი ცოდვა იქნებაო. — ამ ლოცვას ისე ენდობიან ჯანაბეთელები, რომ, მათი წინააღმდეგში დაჯერება შეუძლებელია! — ბევრი მათგანი ფიქრით ამტკიცებს, რომ ჩემის თვალთ მინახავს პირშეკრული მგელი რომ გვერდში უდგას და საცოდავთ ზუილაო!.. ეს კიდევ არაფერი, რომ პირუტყვებზედ ეჯერათ, ახლა მთელი ჯანაბეთი დარწმუნებულია, რომ ამ ლოცვით კაცის პირის შეკერაც შესაძლებელი ყოფილაო. ამ ჰაზრზედ დააყენათ შემდეგ შემთხვევა: ამ დღეებში სისხლის სამართლის საქმეს არჩევდენ ოლქის სასამართლოში. ახალი ადვოკატის საყურებლათ დიდ-ძალი ხალხი შეკრა. შეელოცა მთელი მოსარჩლისაგან სახელის ნახვას, რადგანაც იმაზედ დიდი იმედები ჰქონდათ და მასთანაც უ. ადვოკატი დიდის ხნით ემზადებოდა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა მო-

ხდა: ადვოკატს მოულოდნელად შეეკრა კბილები და მოჰყვა ზუილს. არა თუ თავისი ვეღარა თქვა რა, დაწერილიც ვეღარ ამოიკითხა. ზუილა და ზუილა, როგორც მსაჯულები, ისე მაყურებლები, ჯერ გაჰკვირდენ და მერე სიცილი აუტყდათ. ეს მარტო ზოგმა ავადმყოფობას მიაწერა, ზოგმა დაკრთობას, ზოგმა უძილობას და ზოგმა რას, მაგრამ, ჩვენ როგორც შევიტყვეთ, თურმე შელოცვით ყოფილიყო. წინააღმდეგ მხარეს ვთქვა: თუ კი ნადირზედ და მგლებზედა ჰსჭრის ეს შელოცვა, რატომ ადვოკატზედ არ უნდა ჰსჭრიდესო და შელოცვა წინააღმდეგ ვეჭილისათვის. — მსეც გავიგეთ, რომ ის შეჩვენებული გამოლოცვას აწც აღარ აპირობსო და ადვოკატს აღარ დავეძებთ, მაგრამ ვაი თუ ზღვაში გემები დაეგნან! და ამ საქმეზედ რამ გამოიძიება დანიშნებოდას ურიგო არ იქნება...

აკაკი.



ამეფე ნაირათ სხვა შესანიშნავი და ხალხიანი ჩვენი ხეობებიც უშუაგულ საქართველოს რეინის გზით შეუერთდებიან. აი, მაშინ განვიმართებით წყლში და სიცოცხლეს გავიადგილოდებოდა...

ბიდევი ერთი სასიამოვნო (აკი წამცდა ძველი ჩვეულებით!), არა, უსიამოვნო ამბავი. ია შტო, რომელსაც მუთისის რეინის გზასთან უნდა შეეერთებია, ჯერ ისე უწინდელ მდგომარეობაში იმყოფება— ეგი იგი მართო პრაქტიკათ არსებობს. იმის თაობაზე ჯერ კაცს ხაზის უბრალო გამოკვლევაც არ დაუწყია. ამის მიზეზსაც მოგიყვებით, თუ ტყუილი არ უთქვამთ ჩემთვის იმ პირებს, რომლებმაც ამ საქმის გარემოებები გაამყენეს. ამბობენ, ვითომ მმართველობას რეინის გზის გაშენების დროს კამპანიისთვის ლაღუმების სამტერევი თათის წამალი მიეცეს, სამასი ათასი მანეთის საღირალი, და კამპანიას, ვითომ, ეს ფული მმართველობისთვის უნდა გადაეხდა. 1871, სექტემბერში, მუთისის ხმა გაეარდა, ვითომ მმართველობას შტოს გაშენების სურვილი აქვსო და მაშინ კიდევ თქვეს, შტო მომავალ მაისში (1872) მზათ უნდა იყოსო. მაგრამ თურმე მმართველობამ კამპანიას უთხრა, ის თათის წამლის ფული მიპატიებია, და მაგიერათ შენ რეინის გზის შტო გააშენო. კამპანიას კი, ნუ იტყვი, ამ სიტყვებიდამ მართო პირველი ნ. ხევარი დაუმახსოვრებია („ფულები მიპატიებია“) და მეორე ნახევრისთვის კი („შტო გააშენო“) თაღისებურათ წაუყრუებია. — მართალია ეს თუ ტყუილი, ამის მე აბა რამეცოდინებო: როგორც მივიღია ეს ამბავი, იმ ფასათ თქვენთვის მიძღვნია და თქვენ როგორც გინდათ ისე გაიგეთ და დაიჯერეთ... ნამდვილი კი ისაა, რომ, ასეა თუ სხვათრეც, მუთისის რეინის გზის შტო ჯერ არ მიკარგებია; და როდის მიეკარება— ეს არაფერც იცის...

რომ იცოდეთ რა ამბავია მუთისში „დროების“ ბასის გამო ბ. ლოლობერიძის შესახებ? ეს ხომ კარგათ იცით, რომ პუბლიკას — მუთისელი იყოს, გინდ პარიკელი — ყველაზე უფრო და ყველაზე უწინ სიერი, მუშტი-კრივი, ვეტაკება და ბრძოლის ცქერა უყვარს. ამანიჩია კაცის გული, და ამას ხომ ჩვენ ვერ გადავკვებთ. ღახლა ჩვენს ბაას ყველა ისე მწარეთ უგდებს ყურადღებას, თითქო კარგ ლაზათიანს ჰქვიადას ესწრებოდეს. — „ბა-ბა-ბა! რავალი გახურებული კრივიო! აბა, ვინ მოკრევა! მინ ვის დასცემს? მკვ, შენ ნუ მომიკვდები, ეს კარგი ფერდული იყო! აი, ამანაც კარგი კვანტი გადაღო! მკვ! როგორ მწარეთ დაბერტყა მიწაზე! ბრიკა, ნუ გეშინია, შე ფრთხლო! მამა ჩემი ნუ წამიწყდება მანინ გედლო ცხლა თავზე! შელიპე მაგას! ბრიკა კვანტი! ბრ ზოგო! და სხვა ზოგიერთებს, თურმე, ნიძლავიც დაუღვიათ: არა ბ. ლოლობერიძე მოკრევა სკანდელსო, არა სკანდელი— ბ. ლოლობერიძესაო. თერთონ ფალაგანდებიც ძლიერ კვირობენ და ტრახახობენ: ერთს უთქვამს, დაცემ, ხელფებს შეუტრავ და ისე მივართმევი ჩემ ბატონებსო, მეორეს დაუქაღლია— ისე დავალოურჯებ, რომ მღებრებს ლილათ გამოადგესო. რა იქნება და რა არა, ამას მკითხველი ჩემზე უფრო კარგათ დაინახავს! მაგრამ მენი-ზლავეები კი, ორივეს მხრით, ძალიან ბეჯითათ ჩაჩერებინ ამ მუშტი-კრივი, და არც ერთის გარემოებას და სიტყვას შეუნიშნავათ არ ჰკარგენ. ჩვენთვის ესეც საკმაოა.

სხვებს, — მენიზლავეებთან (ეს არ დი-ვიწყით) — დაუფინიათ თურმე, რომ ეს რა კაცობაა კრივი და ჰქვიადა, და მჯდრათ

იმუსაიფეთ, საქმეზე ილაპარაკეთ, მართო ბანკის უსტაიე არჩიეთ, ერთმანეთს ნუ შე-ეხებითო. ეს აზრი მე ერთმა ისეთმა მეგობარმაც გამომიტყვა, რომლის სიტყვას და აზრს ყველაზე უფრო ვაფასებ და ვაკვირდები. მაგრამ, იმას კი არაკაცი იხსენებს, რომ ჩვენ საზოგადოებისთვის ესწერო, და ეს საზოგადოება ზონ-სტუარტ მილისთანა მოაზრებებისგან კი არაა შემდგარი. ლოგიკურ, დამჯდარ, ანსტრაქტულ წერა-სჯას ჩვენში ერთობ აფასებენ, მაგრამ როდი კითხულობენ. არა თუ ჩვენში, რუსეთშიც და საფრანგეთშიც დოგმატურ წერას მართო სწავლულებზე აქვს გავლენა და ზედმოქმედება. პუბლიკა კი, ესე იგი მკითხველი საზოგადოება, მოკლე სტატიებს, პოლიმიკას, პიროვან შეტაკებას და ლიტერატურულ მუშტი-კრივს ეწაფება. ამისგანო უცხო მწერლობებში ყოველ საზოგადოებრივ საქმეს, ყოველ შესანიშნავ მოვლენას და კითხვებს ყოველთვის ისე სინჯვენ მწერლები, რომ ერთმანერთს სასტიკათ შეეტაკებინ, ერთ უშველებელს ვაი-ვალაას ასტყენ, შეიქნიან გამწარებულ ბრძოლას, და ამ ბრძოლაში გამოთქმული აზრები ამით ერთიანათ და მტკიცეთ იბეჭდებიან მკითხველის გონებაში. სხვა მაგალითები თუ არ ახსოვთ ამ ჩვენ მუთისელ ვითომ-ბრძენებს და ცრუ-ქადაგებს, ის მინც ვახსენებ, რა ნაირათ წაიყენა „Современник“ მაშა-წყლის საზოგადოებრივი მფლობელობის საქმე (Общественное владение). და ის საქმე, ხომ, ჩვენი ბანკის საქმეზე ერთი ათასათ უფრო მაღლა იდგა, როგორც სიმძიმით, ისე საქოროებით.

არის ჩვენ ბაასში მეორე მხარეც, რომელსაც არაფერც არ იხსენებს. მუთისის ბანკის საქმეში პირველჯერ გამოდიოდა საზოგადოებრივი საქმეების წყაყენის ასპარეზზე ჩვენებური ახალგაზლობა, ჩვენი ახალი თაობა. საქმე, ჩვენი აზრით, ცულთ წაიღია, მაშინ, როდესაც ჩვენ „დროების“ თანამშრომლები — საზოგადოებას ურჩევდით ეს საქმე ბ. ლოლობერიძეს მიანდეთოქო, იმ კაცს, რომელმაც საქმე დაღუშა. ნუ თუ ჩვენ — „დროებამ“ — არ უნდა აფხსნათ, თუ როგორ მოგვიხდა ამისთანა ცულდი რჩევის მიცემა? ან ნუ თუ ჩვენ არ უნდა დაეხსავით — სამაგალითოდ — ის ჩვენი დროები-თი თანამოაზრე, რომელმაც საზოგადოებრივი საქმეების წყაყენაში საერთო პლანი და მიზანი დაიფიქრა, და სხვების დაუკითხავათ თავისი კულ-მოკენტილი გზა არჩიო? შტინმეცი არ იყო, ჩოობახში რომ თავის საკუთარი მოაზრებით ფრანცუზებს ბრძოლა გაუმართა და კიდევ გამი-რჯვა, მაგრამ საზოგადო პლანის დაიფიქრებისთვის იმას მოლტყემ ჯარი ჩამოართვა და ტენიგსბერგში ამოუტყუა თავი? მართალია, ჩვენ მოლტკეს ვერ შევედრებით, მაგრამ დების მადლით არც ბ. ლოლობერიძეა შტინმეცი თან ფეს-წასაწვდენელი, და ჩვენი მდგომარეობა, დამცირებულათ, იმ მებრძოლების მდგომარეობას ჩინებულათ ჩამოგავს.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ, ახალგაზლობას, გველის საზოგადო საქმე, შეერთებული შრომა. შრომა კარზე გვედგია, ქალაქების საზოგადოებრივი მმართველობა დღეს თუ ხვალ მოგვეცემა. ნუ თუ ჩვენ არ უნდა ვისწავლოთ შეერთებული, გონიერი მოქმედების დისციპლინა, ნუ თუ ჩვენ უწინდელურათ უთავბოლოთ და უმიზნოთ, უსაქმოთ და უგაღლენოთ უნდა ვხეტილობოდეთ და ნი-დავ თითო-ოროლა პირის უცბათ შთაბეჭდილებას და ზეგარდმო ან ქვეგარდმო შთაგონებას უნდა მივიანდოთ საზოგადო

საქმის წაყენა და პატრონობა? ეს ჩვენში აღარ უნდა იქმნე, ეს გონიერ თაობას არ შეეფერება, ჩვენ უნდა გავიწერთ, დავრახმდეთ, ერთად სიარული და ერთად შრომა ვისწავლოთ. და ვინც ამ ჩვენს ახალგაზლობაში საზოგადო საქმეს, მიზანს ან პლანს დაიფიქრებს, ვინც მატრაკვეცობას დაიწყებს, ბ. ლოლობერიძე იყოს თუნდ ნ. სკანდელი, ის უნდა დაისაჯოს, მოკედეს, რომ სხომის, სხვა საზოგადო საქმეების წაყენის დროს, სხვას არავის ფიქრშიც არ მოუვიდეს საზოგადო საქმეზე უფრო მაღლა თავის პარონობის, მატრაკვეცობის, თავ-მოყვარეობის და სახელის დაცენბა. და ამ მხრით ჩვენს ბაასს, მეტწილეთ, ძრიელ დიდი მნიშვნელობა და გავლენა ექნება მომავალ ჩვენ საზოგადობრივ საქმეებზე, ჩვენი ახალგაზლობის მოქმედებაზე და ამით ჩვენი ხალხის ბედზედაც...

ბქ სასაცილო და შესანიშნავი ის არის, რომ ეს ჩვენი ცრუ-ქადაგანი ჩვენი „დროების“ ინტერესისთვის გვირჩევენ თურმე პოლიმიკას თავი დაანებეთ და ბრძოლელი თხზულებები ბეჭდეთო. რჩეისთვის დიდმადლობას უძღვნით, მაგრამ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ჩვენთვის ის კი არაა საქირო სხეებს ჩვენი თავი ბრძნათ მიხნდეს და ჩვენი ნაწერი — ბრძნულ შრომათ. ჩვენთვის საქიროა ჩვენი აზრის და შეხედულობის გარდაცემა მკითხველი საზოგადოებისთვის, ჩვენი ნაწერის გაერცვლება, ჩვენი მკითხველების გამრავლება, და ჩვენ ერთობ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მიზანს მივალ-წყევოთ და ამ დარწმუნების საბუთებიც გვაქვს. რას ეშვრებით ჩვენ, რისთვის ან როგორ, ეს ჩვენ მეტის მეტათ მტკიცეთ გამოკლეულ დი და გასინჯული გვაქვს, და უმიზნოთ ან უსაფუძველოთ ბოღალი, მზეული და რახარუნი ჩვენ დიდი ხანია ცრუ-ქადაგები-თვის დაგვითვია. მეტწილეთ და დავგი-ჯგრობ იმათ, რომ ჩვენ კარგათ ვიცით სად მივიღივართ, რა გზით და რისთვის, აგრეთვე როგორც რა იარალი და რა საშუალება მოგვიხდება. ამ საგნებზე ისინი ჩვენთვის ნუ იზრუნვენ, და თუ მინცა და მინც ზრუნვის ხალისზე არიან, ზრუნვა თავიანთთვის გამოიყენონ — იმათ ის მართლა ძლიერ სჭირიათ.

რა მოგწეროთ, კიდევ? ბქ ური ამბები? სასაცილო გინდათ, თუ სატირელი? სასაცილოთ ცხლა ახალი ადგოკატის, უფ. ნ. ლოლობერიძის, შემთხვევა აქვს ყველას. ლაუნევიათ ხელზე, რომ იმას საქმის განხილვის დროს ენაჩაუწყდა, და ოხუნჯობენ: — ამბობენ, უწინ გამოქიმილი რომ კრესლოში იჯდა, ყველას მეცნიერი გვეგონა და ცხლა ხმის ამოდება რომ დასტირდა სიტყვის თქვა ვერ მოახერხაო, და შეუქნიათ ამ უბრალო შემთხვევისგან საზოგადო სალაპარაკო საქმე. ახირებული ქალაქია ეს დალოცილი მუთისი. ასე, ერთ უბრალო შემთხვევით ისარგებლებს ხოლმე, და შექმნის ღალადს და გაუთავებელ ლაპარაკს. და ის კი არ იცის, რომ ამ ჩვენს დროში ყველაფერი შესაძლებელი და ადვილათ ასახსნელია, თუ ყველაფერს ფიზიოლოგიის თვალთ შეხედავს კაცი. ბი მაგალითად ცხლა: საქმე იმათ ისნება, რომ ადგოკატს ნასადი-ლევეს ძილი სჩევივა, და რაკი იმ დღეს არ დაუძინია, საღლი ცულათ მოუწელებია მის სტომაქს და ამის გამო ერთობ ურიგოთ დაუწყია სისხლს ტრიალი. ეს ჩინებული დამტკიცება იმ ახალი თეორიისა, რომ ჩვენი მოაზრება და ფსიხური ცხოვრება ფიზიკურ კანონებს ემონება და გარეგანი საგნების და გავლენის ქვეშ მოქმედობსო

მაგრამ დიხს განა ამისთანა წერილმან სა- განზე მთელი ქალაქის მხრით ლაპარაკი და ოხუნჯობა? ნუ თუ მუთისისთვის ქვის გული ჰქვინდა, რომ შემბრალებით მინც არ მიუფიქრებიათ ეს უცაბედი „შემთხვევა“?

მეორე ამბავი სასაცილო როდია. იმდღეს ბქ უბრალო ლინის დროს ზოგიერთმა მო- ლხინებმა ერთმანეთს თავი შეაკლეს კინა- ღამ. სამწუხაროა, რომ უწინდელი მშენიერ- ი ანდაზა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, ცხლანდელ ჩვენც- ბურ შემთხვევებს ისე გადაუკეთებიათ, რომ უნდა ითქვას: „სჯობს სიცოცხლეს სახე- ლოვანსა სიკვდილი ერთობ ნაძრახი.“ მეორე შენიშვნა: ამასწინეთ ერთმა ჩვენმა ახალ- გაზდამ ექვსაბანიჩ კულს გადაატანა, მფი- ლისში, თავის სიცოცხლე. არა მგონია, რომ აქ ადვილათ გამოემეტებია იმას თავისი თავი საზოგადოების ან მამულის სიკეთეს ეს მსხვერ- პლი რომ მოეთხოვა მისგან. მაგრამ იმე- დი ვიქონიოთ, რომ ამ ცხლანდელს უბრა- ლო კინკლაობაში თავის გამოემეტებას შე- მდგში კეთილი საქმისთვის თავის დაუზო- გველობაც მოჰყვება. ამ იქედის მეტს სხვა ხერის ვერ გამოიყენას კაკი ამ უბედურ შე- მთხვევისგან.

ბ. სკანდელი.
„დროების“ კორექსორ-დენიცია
მ. სურგუთი, აგვისტოს 11, 1873 წ.

მე ამასწინეთ შეგებრდით შემეტყობინე- ბა თქვენთვის სასაფლოო შკოლების მდგო- მარეობა მუთისში. ბნებავს გურულის შეი- ლის ნიჭი და მუყათით გაიგოთ? შემბრძ- ლით პატარა დაბნელებულ სახლში, რომე- ლსაც სოფლის სამწერლოის მახლობლათ შეხედებით ხოლმე, დაათვალიერეთ პატარა ბავშვების ნაწერები, წაკითხეთ ბავშვებს მო- გებაშილის სახელმძღვანელო წიგნები, მი- ვცით რაოდენიმე კითხვა და ნახეთ, თუ რა არის მურულის შეილი. თქვენ უთუოდ იტყვი, ყმაწვილები კარგა ხანი უნდა სწა- ვლობდნენო. არა, სულ ეს იმათ ერთი თვის განმავლობაში აქვთ შეძენილი. ეს საკმაოთ კარგათ გამოასახული სიტყვები შე- ფუცარხედ, ესრეთ მკაფიოდ და ხმოვანათ გამოთქმული ფრაზები, ციფრებით ანგარი- შები, დაზვიარებული ლოციები, სულ ეს, ვამბობ, ორი თვის განმავლობაში აქვთ შე- ძენილი (წელიწადში ერთ თვის დადიან შკო- ლაში, ისიც დრო გამო შეებით). მითომ მას- წველებლები იყოს ამ წარმატების მიზეზი? არა, მე თუ მკითხავთ, ყველაფრის მიზეზი ყმაწვილების ნიჭი და მათი სწავლის ხა- ლისია.

ბქური სოფლის მასწავლებლები ბი სთი- დგან ჩნდებიან. მოგესხენებათ, რომ მსურ- გეთში სამაზრო სასწავლებლებია და ისიც გეცოდინებათ, თუ როგორ ემზადებიან ბქ ყმაწვილები. მინც კი ხერიაანთ სწა- ვლობს, ისინი სასაფლოო შკოლებს თვალი- თაც ვერ დაინახვენ, რადგანაც გინახვიებში და სხვა საშუალო სასწავლებლებში შედიან. მინც კი კარგათ სწერს, იმათი ალაგი სამ- წერლობია, სადაც ორას მანეთამდე ჯამა- გირს იღებენ და მალეც შტატის ჩინოენი- კებათ ხდებიან. მინც კი არც წერა იცის, ცულათ დამზადებულნი არის, იმისი საუკე- თესო კარიერა სოფლის შკოლის მასწავლე- ბლობა გახლავს, სადაც ორპოცი მანეთი რომ მისცენ წელიწადში, კმაყოფილი უნდა გახდეს, რადგანაც იმან არავითარი ხელობა არა იცის. ის ისე ძალმოწყვეტილი გამოდის სასწავლებლიდამ, რომ ჯათის ატანა არ შე-

უელის და აზიტიანი ხენა-თესვასაც თავს ატეხებს. ამ დროს მიდის მასთან მამასახლი... და ეუბნება, გარჩენი. დაგახურომ და მწყ... რალად დამიდევით. სმპროფილია თავის ბე... ღის. ასე ფერმკრთალი, წილ-გაღუნული, თავ-... კაბრუებული ზებორობისაგან, ამასთან შკოლის... პასწავლებლათაც ინიშნება.

ამგვარად იმის ხელშია სამწერლოც და სასწავლებელიც და ამისი სასამსახურო ბა-... ტონები კი მდივანბეგის უფლების პატრო-... ნი მამასახლისებია. მსტუმრა ვინმე ჩინო-... ნიკი მამასახლისს. როგორც უკეთ ჩაცმული... ჩეწნი მასწავლებელი ლაქიათ კარგათ გამო-... სადგენა, ცხენს ჩამოართმებს, საქმელს მიარ-... თმებს, ხშირათ იასულობასაც ასრულებს.... მადასწერ ქალადღებსსწერს. მოგვსენებათ... გასარჩევი საქმეები მამასახლისიებს მუდამ აქვთ, მამ... მასწავლებლები მუდამ მათ წინ უნდა... ისხდენ პროტოკოლის შესადგენათ, რაბორ-... ტის დასაწერად... და შკოლა ან ცარიელია... ანა და ბაეშების ბზუილით გაყრუებული... ჯამგირი მასწავლებლებს იმოღვეინ უნდა... ეძლეოდეს სამართლით, რამდენიც შკოლის-... თვის საზოგადოებაში ფულები იკრიფება. მხოლოდ ამ ფულს ის მოაკლდება, რაც საჭი-... როა შკოლისთვის: სახლის შესაკეთებლათ, წიგნებისთვის და სხვ. მაგრამ მასწავლებ-... ლებს ამ ზომასხედაც ნაკლები ეძლევათ. რა-... ზედ იხარჯება დანარჩენი ფული, ან ვის... მიაქვს, კაცმა არ იცის.

ამგვართ მონაზადებულმა და ასე ცუდს მდგომარეობაში მყოფმა მასწავლებლებმა რომ ეგრეთვე ასწავლოს ყმაწვილებს, გასაკვირ-... ელი არ იქნება. მართლაც, შკოლა-... ში შესვლისთანავე მასწავლებელი დაი-... წყებს თავის დაზებირებულ სიტყვებს: გა-... იმართეთ, ადგიეთ, დაჯექეთ, ადიეთ, დასხე-... დით, ამოიღეთ წიგნები, იკითხეთ. შეიქმნე-... ბა ერთი ზუსტუნი, ისე რომ ერთი მეორეს... აყრუებენ. მერმე გააჩუბებს ყმაწვილებს, გამოიყვანს ფიცართან ახლებს და, მითომ... ხმოვანი მეთოდით ვასწავლიო, იმისთანა... სიტყვებს აწერინებს ყმაწვილებს, რომელიც... არა თუ ბავშვებს, ხშირად თვითონ მასწავ-... ლებელსაც არ ესმის. აი ამნაირ უაზრო... წვალებაში არიან ყმაწვილები; მოდი და ის-... წავლონ რამე.

მაგრამ მათდა ზედთ აი რა შეველისთ ყმაწვილებს. მსურვეთის სასწავლებლიდგან კანკალისდროს ყმაწვილები შინ მიდიან; აი მაშინ ეს პატარა ბასახლები თავისი გა-... გებით, უბრალო, მაგრამ ყმაწვილებისთვის მისახედნი სიტყვებით ისრე კარგათ უხსნიან იმათ წერა-კითხვას, რომ ორ-სამ დღეში სწავლობენ იმოდენს, რამდენსაც თვითონ მასწავლებლისაგან ერთ თვეში ვერ ისწავ-... ლიან. ამას დაუმართო ყმაწვილების წახლი-... სება ისევე მათ ამხანაგებიან.

მა, თითქოს თამამი გამოკლევა ქეშმარი-... ტება, ამაზედ მრავალი დამტკიცებები მიქვს. მს კიდევ არაფერი, თქვენ ერთ სოფლის შკოლასაც ვერ ნახეთ, რომ ორი-სამიოდე ყმაწვილიარ იყოს, რომელნიც მსურვეთის სასწავლებელში ყოფილან, თუ ვაჭრებთან თუ მოსამსახურებთან, რომელთაც წერა-კით-... ხვა საქმათ იციან, და ამასთან ანგარიში... ლოცვები; აი ისინი არიან მასწავლებლების თანაშემწეებთ (სტარშებთ). „სტარშებთა“ რასაც ჯამგირენ და რასმე მწიგნობრობას ავრცელებენ.

ამას იქით წარმოადგინეთ, რა გულით, რა ხალისით უნდა მივიდეს ყმაწვილი შკო-... ლაში, როცა იმან იცის, რომ მასწავლე-... ბელს იმის სასწავლებლად მოცალდება არ... მქნება და კიდევ რომ ექნეს, რა გამოეა-

შეწვილს ორი თუ სამი მოხელით კარგათ... გავებული აქვს, რომ ტყვილით ფენებს იმტე-... რეს და სწავლის მაგიერ წვალბის მეთი... შკოლაში არ არის რა. მიტომაც შეიძლება... თვეში ორჯერ სამჯერ წავიდეს შკოლაში, ისიც მაშინ, როცა ვინმე დიდი კაცი სტუმ-... რობს იმ სოფელში. რათ არ იქნებინა დედ-... მამებიც გულგრილათ, თუ კი შკოლის სა-... ქმე ვერ მიდის. სამწუხაროა, ძრვიელ სამ-... წუხარო და ჯერ კი ამ საქმეს არაფერ არა-... ფრათ შეველიას.

ზემო ზურის მომრიგებელი მოსაშრთლე ანაირად უყურებს შკოლის საქმეს: „რა სა-... ქაროა შკოლები, რათ გამოგვადგება ისინი ჩვენ? რაო, ვითომ გლვებმა რომ წერა-კი-... თხვა იცოდენ, თუ ჟურნალ გავთებებს კით-... ხულობდენ, მაქედგან რა სიკეთე გამოვა? ზღენი გაუჩნია ღმერთს გლვებთ და ვგრე... უნდა იყენე სამუდამოთ!!“ მხლა ამით ეა-... თაებ და შემდგომში ვეცდები ეაჩვენო მკი-... თხველს, თუ რა საშვალბებთი შეგვიძლიან... ჩიგინი შკოლები გვექონდეს.

N.

P. S. ძალიან გამაკვირვა თ. აბ. მარხბელია, რაო, რას ამბობს? სამსლდრის მცველებთაგანი, უფ. თიკანაძე, არ არის ეხლა ქურდობის-... თვის დაჭერილი და განა უწინაც არ დაქე-... რილან მრავალნი? რამდენი ოფიციალური... ცნობებია ამაზედ. მაგრამ საქმე წამყვანლე-... ზედ კი არ არის. სამწუხაროა, რომ ბუ-... რიაში უკანასკნელ დროში აუარებელი... ქურდობაა. მონაზარეი ცხენები ყველა სამ-... ზღვარს გარეთ გაყავთ, აჭარისკენ, მობულე-... თისკენ... მს ნათლათ სხანს იმ შემთხვევის-... გან, რომ ბურულებს ყველა მონაზარეი იმ... აღვილებიდან გამოჰყავთ. მხლა ეს მიბრძა-... ნეთ, სამსლდარი თუ კარგათ იყოს დაცული, განა ნაქურდალი გაეპარებათ სამსლდარზედ? ხალხის ხმა ამას ამბობს, რომ თუ დამცე-... ლები არ დაეხმარებინან, თათრები ვერასო-... დეს ვერ გააპარებენო. ამის შემდგომ უმო-... რჩილესად გთხოვთ, თ. აბ. მარხბელია, თა-... დარიგი ვეჭიროსთ და სიტყვებს ტყვილად... ნუ ისვრით. როცა მართელი ხალხის ხმას... ვაუხადებთ, ეს საქმათ ამტკიცებს ჩემს სი-... მართლებს.

N.

(დ. შვილია, 22 აგვ. 1873 წ.

ჭურთხუელ არს, ღმერთო, შენი სახელი! როგორც დრო მოდის, ისე სხვა წესი და კანონი უკან მოსდევს. აქამდის მარტო მოხუცებულბისაგან გაიგონებდით ძველი დროის ნატვრას და ეხლა ოცი წლის ყმა-... წვილისაგანაც კი გაიგონებთ? რისგან მო-... დის ეს? შეველასთვის მართლა გასაკვირვე-... ლია, ზოგიერთები ამასაც ამბობენ, ნეტავი... ბატონ-ყმობაც არ გადადარდნილიყო! ახირებულთ ხალხია, მართლა, ეს ჩეწნი გლვები. ამასწინეთ ერთმა ვიდაშაქ დრო-... ბაშიაქ კი დასწერა, რომ სპირტის სასმე-... ლებზე ბაჟის დადება სასარგებლოაო. ჩეწნი... გლვებს როგორ ჩააგონებ კაცი, რომ ეს... წესი სასარგებლო არის! მრთი გლვები კაცი... ამას წინეთ ათ საათს სულ ამაზე მელაპა-... რავებოდა. მე რომ ამას უმტკიცებდი, სპარ-... ტის სასმელზე ბაჟის დადება სასარგებლო არის მეთქი, იმან მოდგა და ექვსი საათი სულ ჩემი სიტყვების გამტკუნებაზედ იყებდა.

მრთი საკვირველი ამბავი შევიტყუე კიდევ ამ საზოგადოებაში. მურმე სტარშინა კარგი ხნიდამ ფულებს ბოჭავდა კანცელარისთვის. მრთი სახლი, ისიც ძველი კანცელარის და...

სოფლის მოტანილი ფიცრებიდამ, ბოლოს ძლიეს აშენა. ზღენებს რალაც ექვი ავლოთ ფულის ცუდათ დახარჯვაზე. აგრჩიოთ რე-... ოდე კაცი, რომ სოფლის მოხელებებისთვის ანგარიში ექნათ. ბოლოს ამ კაცებს ამოუ-... ჩენიათ ის, რომ თურმე სტარშინასაც და მის... თანაშემწეებსაც კარგა ძალი ფული მო-... უხმარიოთ თავის საქარობები! თვის! მრთი... საწყალი გლვები მოთმინებისაგან გამოსული ყვიროდა: „რა უბედურ დროს შევესწარით ამას. . . . ჩეწნი მამასახლისი, ბატონო, ზის და არაფერს არ აკეთებს და არც არაფერს ყიდის და ოცოც მანეთს კი გაასე ხებს ხოლმე ოთხ-ხუთ დღეში. ნახეთ ერთი, თუ ღმერთი გწამსთ სულბების წიგნი და ჩამოთვალეთ, რამდენი გაუსესხებია მას აქეთ, რაც სტარშინათ დადგა? მინ მისცა ეს ფულები? რამდენ ამისთანას, გაიგონებს კაცი, არა თუ სოფელში არამედ ყველგან, მაგრამ ამ შემთხვევაში მე მოციქულის სიტყვებით: „ВЕСЬ МИРЪ ВОЗНЪ ЛЕЖИТЪ“ ენუგეზობ.

მ - ელი.

რუსეთი

— მენის გამოფენაზედ 417 საბატოა დილობში დაურბებიათ იმთთვის, ვინც გა-... მოსაფენად კარგად ნაკეთები ნივთები წა-... რადგინა. ამ რიცხვიდამ 100 საბატოა დი-... ლობი გერმანიელებს რგებიათ, 81 ავსტრი-... სა და მენგრას, 80—საფრანგეთს, 28—... ინგლისს. 22—შვეიცარიას, 20—რუსეთს, 20—ბელგას, 19—იტალიას, ცხრა-ცხრა შევიციას და ნორვეგიას და შეერთებულს შტატებს, 8—მსხანას, 6—ჰოლლანდიას, 5—ნაპონიას, ორ-ორი—ჩინეთს, ბრაზილიას სათათრეთს, თითო—რუმინიას, საბერძნეთს და მეგიტუსს. უნდა იცოდენ, მკითხველო! რომ გამოფენაზედ რუსეთიდან 1000 სხე-... და სხვა გვარი ნივთები იყო წარდგნილი და ავსტრიიდან 12,000. თუ ამას მხედვე-... ლობაში მივიღებთო, ამბობს ერთი პეტერ-... ბურელი გაზეთი, ჩეწნი გული მამულის მოყვარებითი ალტაცებით უნდა აგვექო, რადგანაც, როგორც დილობის რიცხვით, ისე ნივთ-გამგზავნი პირების და დაწესებუ-... ლებების რიცხვთან შედარებით რუსეთს სა-... ბატოა ადგილი უჭირავსო სხვა სახელმწი-... ფოებთა შორის. მაგრამ, სამწუხაროა, ამ ჩეწნს ალტაცებას ძალიან ბეჭი აკლდებაო, როცა ექსპონენტების ანუ ნივთ-გამგზავნი პირების და დაწესებულებების სიას წაეკითხათ: მაშინ აღმოჩნდება, რომ ამ ოცი დილობისაგან 14 სახელმწიფო ფაბრიკებს და ზაეოდებს რგებია და 6 მხოლოდ კერძო პირებს, რომელთაგან ოთხს შეიძლე-... ბოა ნამდვილი ფაბრიკანტი დაფარკვათ. და ხალხის წარმატება სხვა და სხვა ნივთების წარმოებაში სამართებლოს ფაბრიკებით და ზაეოდებით კი არა, კერძო პირებისაგან და-... წესებულათ იზომება.

უცხო-ქვეყნები

საზრანბათი — მართებლობა შიმით უყურებს ამ უკა-... ნასკნელ დროს მონაპრტიელი პარტიის წა-... რმატებას. მეთრი დროშის სიძულილმა იმათ ბეჭრი მომხრეები მოუპოვა. ლეგტიმისტებს კი თავის საიმედო დებუტატების სიაში 200 კაცის სახელის მეთი ვერ შეუტანიათ ჯერ და სხვების დათანხმება ძნელათ მიდის. მრი მონარხიული პარტიის შეერთების მომხ-... რებს თანდისთან ეცლებიან ისინი, ვისაც მო-

ნარხის აღდგენის სიძნელე დაუნახეთ და იმე-... დი დაქარგეთ. ტარყე და იმისე ამოლი, რო-... მლის შემწვობით მონარხიელები, ტყერის მარ-... რთებლობა დასცეს და ეხლანდელი წამოაყე-... ნეს, უარ-ჰყოფენ ჰენრის მესუთეს და მარსხე-... ნა მხარისაკენ გადადიან, აგრეთვე მონაპრტი-... ელებიც. მხლა რომ პალატა შეკრებილიყო, ბუ-... რბონების მონარხია ვერას გზათ ვერ მიიღებდა ხმის უმეტესობას. ლეგტიმისტებს რომ ხმის უმეტესობის იმედი ჰქონდათ, კოროლის ტა-... ხტზედ აყვანა ერთი კვირის საქმე იქნებოდა.

— შტრო მაღე გათავებდოდა ეს გაუთავებე-... ლი პარტაული ბრძოლა, რომ ეხლანდელი პალატა დაშლილიყო და ახალი შეკრებილი-... იყო. მუ რომ ახალს დებუტატების არჩევაზედ მონარხის მოსურნე მმართველობა აღმინს-... ტრატეულს ძალას მოიხმარდა, უთუოდ უმ-... რაეღესობა მონარხიელები იქნებოდა და მო-... როლს ტახტზედ აყვანდა. მუ არა და რე-... საშუბლიკა სამუდამოთ დაწესებოდა, რად-... განაც სოფელები და მეტადრე მოქალაქეები საკმაოდ შეეჩიენ რესპუბლიკურ მართვას და ეწინათ, რომ მონარხის აღდგენას ახალი რევილიუციები კულათ არ გამოებას.

— მეორე ლონე, მონარხის დაშფუძნე-... ლი და რამდენიმე წლით საქმის გარდა-... ტრელი ჯარში არის. ბეჭრს იმედი აქვს, რომ ჯარი ჰენრის მესუთის მონარხის დაწესებას არ დაეხმარება, თუ რომ გვირგვინის მადე-... ბარმა თავისი თეთრი დროშისაგან ხელი არ აიღო. მაგრამ ზოგნი ამასაც ამბობენ, რომ შერსალიდამ გაგზავნილ ბრძანებას, როგო-... რიც უნდა იყოს, ყოყელთვის მსწრათლად აასრულებს ჯარი უმაღლესი ხარისხიდან უმდებლესამდი. როგორც მონაპრტიელი გე-... ნერლები, ისე რესპუბლიკელი უმდებლესი აფიცრები ბრძანებისამებრ მოიქცევიან, თუმ-... ცა გულმტკინეულად. მონარხის ძალით და-... დგენის დაბრკოლება ეხლა მხოლოდ მერსა-... ლის პალატაში უნდა ვეძიოთ, საცა შეუძლე-... ბელია, რომ უმრავლესობა მონარხიელებს მიემხროს, რადგანაც იმისთანა თავგამომეტე-... ბული კაცები, რომ თვალ ახევეული ხალ-... ხის სურვილის წინააღმდეგ წავიდნენ, ლეგი-... მისტებშიაც ბეჭრნი არ არიან. მრლენენლე-... ბი თავისი ძონსტიტუციური მონარხისათვის უფრო ცდილობენ, რადგანაც იმათი უმეტე-... სობა შამბორელისა და პირიყელის შერიცე-... ბით დაბრმავებული არ არიან და რომელნიც ძველი მონარხის წინააღმდეგობას თითქმის მხოლოდ იმიტომ იჩენენ, რომ იმის აღდგინე-... ბით რადიკალური პარტია არ გაძლიერდესო.

— მრთი ბელგიელი გაზეთი ამბობს, რომ ჯარი არ დაეხმარებოაოროალისტებს, თუ რომ იმას სამთეროვანი დროში წართვესო. ისევე გაზეთი ამბობს, ვითომც მაკ-პაპონს ეთქვას, რომ რადგანაც მონარხის აღდგენას მშეი-... დობიანობის დარღვევა შეუძლიაო, ამისათვის მე უფრო მიჩრეწიან, პრეზიდენტობაზედ უარი-ვსთქვა, ვინემ ლეგტიმისტებისა და ორლენაელების შეერთებას ხელი მივსცეო.

ამას გარდა მინისტრების რჩევაში მაკ-... მაპონს გამოუქნადა, რომ ხალხის ნამდე-... ლი სურვილის შესატყობრად საჭიროაო, რომ დამატებითი არჩევა ყველა იმ დეპარ-... ტამენტებში, რომელთაც დებუტატები არა ჰყავთ ეხლა ნაციონალურ კრებაში, ერთ დროს უნდა მოხდესო. მაგრამ ზოგიერთ მი-... ნისტრს ძალიან სწყენია ეს და ეხლა, ოკ-... ტობრის თვეში, მარტო სამ დეპარტამენტ-... ში იქნება დანიშნული დებუტატთ აღრჩევა.

— იმ დეპარტამენტის რესპუბლიკელმა დებუტატმა, საცა მაკ-მაპონი დაბადე-... ბულია, წიგნი დაბეჭდა გაზეთებში, რომლი-... თაც ის ურჩევს პრეზიდენტს, რომ იმან თავისი სამშობლო დეპარტამენტი ასახელოს სამოქალაქო დეაწლით ისე, როგორათაც

სამხედრო სამსახურით. ისტორია მალაღობა აყენებს ვაშინგტონებს, ამბობს დეპუტატი. თქვენი სამზობლო დეპარტამენტის მცხოვრებლები ერთ ხმათ უგრძობენ რესპუბლიკას და გთხოვენ, რომ თქვენ იმისი მხსნელი იყოთ და სთხოვთ პალატას, რომ ის დაიშალოს და ახალს პალატას ადგილი დაუტოლოს, რომელმანაც, როგორც ნამდვილი სახალხო ამორჩევი მოწოდებულმა, უნდა გადაწყვიტოს საფრანგეთის ბედი. ეს საქმე საუკეთესო დღის შტოს მოუმატებს თქვენს გვირგვინს; ეს საქმე დაამყარებდა წესიერებასა და ძმობას იმ დიდს საფრანგეთის ოჯახში, რომლის წინ საკაროლო ოჯახს არა უნდა ერაცხდეთ. მიიღებს ამ რჩევას მაკ-მაჰონი, თუ არა, შეალომა უწყის.

— ამბობენ, რომ ტიერი და შრავალი ზომიერი რესპუბლიკის მომხრენი დაჯერებული არიან, რომ ნაციონალურ კრებაში მონარხიული უმეტესობის შედგენა შეუძლებელი არისა, მაგრამ ზოგი კი სულ სხვას ჰფიქრობს. გამოჩენილს მეცნიერს ლიტტრეს ერთ გახვით დაუბუქდა გრძელი წიგნი, რომელსაც სათაურათ აქვს: „1815 და 1873 წწ. ლიტტრე ამბობს სხვა-თა შორის, რომ ებღანდელს მონარხიის აღმადგინებელს მეცადინებებს იმ ნაირივე ხსიათა აქვს როგორც 1815-ში. ამ მოძრაობაზედ უფრო დიდი ზედმოქმედება აქვს სამდღე ლოცება და პაპის ეხლა, ვინც 1815-ში ლიტტრე ეუბნება თავის თანამემამულეებს, რომ უზრუნველობას არ მიეცეთ, რადგანაც რესპუბლიკასა და თვით საფრანგეთის ხალხს კარზედ დიდი უბედურება ადგია. ლიტტრეს სრულიად არ სჯერა, რომ იგზუიტების შეთქმულებამ გამოარჯოს ან მერობაში, ან საფრანგეთში, მაგრამ ემინია კი, რომ მონარხიის აღდგინების მეცადინეობით გამოწვეულმა ურთიერთშორი მამამ სრულიდ არ მოსპოვა ყოველივე ნაყოფი, რომელიც საფრანგეთს ორის წლის რესპუბლიკურმა მმართველობამ შესძინა.

— ბონაპარტიული გახვითი „Pays“ ემუქრება ლეგიტიმისტებს, რომ ბონაპარტიელები თქვენ მოგცილებიან და რესპუბლიკელებს შეუერთდებიან, თუ ეინიცობა თქვენ სახალხო აღრჩევის პრინციპი უარ-ჰყავითა

— მაკ-მაჰონი და მერცხვი ბროლი, როგორც ამბობენ, ამ ბოლოს ვერ არიან ერთმანერთთან კარგათ განწყობილნი. ბროლიმ პარიჟელისა და შამპორის ვითომც შერიგებით ისარგებლა და პოლიტიკური შეერთება შეუძლებელი გახდა. ის მარტო იმაზედა ჰფიქრობს, რომ ლეგიტიმისტები ბონაპარტიელებზე უფრო მოხერხებულად გააქურდოს, ბროლის იმედი აქვს, რომ ლეგიტიმისტების შეცდომებით ისარგებლოს და რესპუბლიკა დააწესოს მძალევი გერცხვის პრეზიდენტობით, რომ შემდეგ ამ რესპუბლიკის საკაროლოდ გარდაცვლა მოახერხოს, როგორც ბონაპარტიელებმა იმპერიათ შესცვალეს 48 წლის რესპუბლიკა. მაგრამ ამ გვარი საქმის ასასრულებლათ საჭიროა, რომ როგორც მაკ-მაჰონი ჩამოიცილოს. მაგრამ უწინდელი იმედები, რომ მაკ-მაჰონი კმაყოფილობით დაუთმობს ადგილს მძალევი პრინციპს, ტყველი გამოდგა. მაკ-მაჰონს არ მოაწონს ბროლის პლანები და ძალით სახელმწიფო ცვლილების მოხდენაზედ ლარაკს უჭრის არ უშვებს. ეს ძალიან შესანიშნავი ფაქტია.

— მრთ ფრაცუზულ გახვითი იჭერებან პროვინციებიდამ, რომ მღელღები ებისკო-

პოსების სიამოვნებისათვის შამპორელი გრფის აღდგინების სასარგებლოდ ქადაგებენა, მაგრამ ამითი ისინი უფრო რესპუბლიკელობას აერცვლებენა, რადგანაც ყოველივე, რასაც გლენობას მღელღები უჩრევენ, მათ სამღედლოების სასარგებლოდ და თავის მანებელად სთელიან, — იმდენზე მიწეწილა იმათი დაუნდობელობა.

მსპანი

— ქორტისების უმრავლესობას სურს, რომ კონსტიტუციის განხილვა დრომდის გადადვას. ამჟამის სასარგებლოდ ქანტელარმა სიტყვა სთქვა ქორტისების კრებაში და მოითხოვა, რომ ჯერ რესპუბლიკა ეიხსნათა და ამისთვის მმართველობას იმდენი ღონე მიეცეთ, რომ წესიერება დაამყაროს.

— აგვისტოს დამდევს მმართველობის ჯარებმა რამდენჯერმე გაიმარჯვა დონ-პარლოის ჯარებზე. სამხრეთის მარტები სულ დამივადებულა, ერთს ქალაქს, ქარტავენას, გარდა, რომელმაც იქნება დიდი ხანი ვერ გაუძლოს მმართველობის ჯარებს, რათგანაც სხვა მიზეზებს გარდა, მოქალაქეებსა და მოჩხუბრება შუა უთანხმოება მომხდარა.

— მსპანიელები საშინლად გაჯავრებულნი არიან საფრანგეთის მმართველობაზედ, რომლის წევრებიც კარლისტებს ეწევიან მსპანიაში, და აგრძობენ იმ უწყობას, რომელიც ახლანდელ უბედურებასთან, მონაგლის გაუმჯობესობის შეძლებას თუ არ სპობს, აგვიანებს მიანიც.

ამსტრია და მენზრია

1874 წლიდამ აქტიაში და მენგრიაში უნდა დაწესდეს დაფიცებულთ მსაჯულება, რომელიც აქამდის მარტო მწერლობისთვის სამსაჯულოთ იყო იქ შემოღებული. მრთი აქსტრიული გახვითი ამბობს, ძალიან სამწუხაროა, რომ დაფიცებულთ მსაჯულეების დაწესებასთან არ იცვლებიან ის კანონებიც, რომელნიც პროკურორების დანიშნვასა და პასუხის-მგებლობას შეეხება.

შპიისარია

18 აგვისტოს შენევაში მოკედა გერცოგი ქარლი ბრაუნ შევიეელი, რომელმანაც თავისი სიმდიდრე შენევის ქალაქს უანდერძა. შძრავი და მძირავი ქონება იმისგან ნანდერძევი, ოცდაათი მილიონის საღირალი იქნება, მაგრამ როგორც ისმის ამ ქონებას ქალაქი შენევა უსაჩიროდ და უდავიდარაბოდ ხელში ვერ ჩაიგდებსო და იქნება ნახვეარიც ვერ ამოიგოსო.

ნარევი

— მრთ ციმბირელ ქალაქში (ჩიტაში) ერთი მხეცური და სძაგელი ამბავი მომხდარა, როგორც „ბირჯის შწყების“ კორრესპონდენტი იწერება: ერთს კაფერესტორანში ორი პოლიტიკური დამნაშავე იყენენ მოამსახურეთ და თავის თანამდებობას აუშფოთებლათ და კეთილსინდისიანათ ასრულებდენ. ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელი ხშირად შეიხედავდა ხოლმე ამ რესტორანში, ბევრს ხორაგსა და სასმელებს აოხრებდა და ფულებს კი არ იხიდა. ლაქიებმა უკმაყოფილება გამოუცხადეს ფულის მიუცემლობისთვის. როგორ თუ თქვენ ასე-

თებო, თქვენ ისეთებო! როგორ მიზედავთ ჩემს ანგარიშის მოთხოვით შეწუხებასო. სალდათები მოიყვანეთ! სალდათები მოიყვანეს და იმათ ეს ორი საწყალი ლაქია შეაკვრეინა, აცემინა და საპრობილში დაატუსაღებინა. მერმე გამოაყვანინა საპრობილის ეზოში და ყველა დატუსაღებულის თან-დასწრებით უნდოდა, რომ ორივე ჩამოეხრჩო. მოატანინა საღრჩობელა და ორივე საწყლები ზედ ჩამოკიდეს. ისინი იყო გათავებდობდენ სულ, რომ პროკურორს არ მოესწრო. მხლა საქმე შემდგარა ამაზედ და იმედი რომ ამ მხეცური მოქმედებისათვის ღირსეულად დაიხვეება ეს ერთობ ციმბირული ხსიათის მექანე პოლიციელი.

— მრთი სოფლის ღედელი ქადაგების იშტაზედ მოსულა და ერთი იმ სოფლის მცხოვრები მებატონის წინაღმდეგ უთქემს საყდარში, რომ ის მარხვას არ იხახავსო, თუმცა, როგორც ბოროტი ენები ლაპარაკობდენ, თითონაც კი მიირთმედა მარხავაში სასხნილო, თუ კი მიართმედა მებატონე, რასაკირველია, უკმაყოფილო დარჩა ამ ქადაგებით, მაგრამ საქმე კი ამითი გათავებდობდა, რომ მღედელს ნამეტანი არ ექნა და თვითონ მებატონისთვის პირში არ ეთქვა და თავის მჭერ-მეტყველებით ყოყოჩობა არ დაეწყო. მებატონემ უთხრა თურმე, რომ ჩვენ იმისთანა ცხერები ვართ, რომ ცულ მწყემსს არ ემორჩილებითო. მე კი, როგორც მწყემსი, ესჯი ურჩს ცხოვარსაო, და მებატონეს ყურებში ეცა. ეს მამობრივი ხუმრობა შეილურის მორჩილებით ველარ მიილა თურმე მებატონემ და გეარიანი სილა სთხლიშა. ამის გამო მღედელი ეხლა მონასტერში ბრძანდებოა.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა და მალე დაურიდგება ხელის მომწერლებს „ქრებული“ მიოთხე ვიზნი
 შინაარსი: ს ხ ე ა თ ა შ ო რ ი ს (ნაგრძობი და განაგანი) I. სკანდელისა. II. შამოსალმება—III. ბათუმი—IV. სოხუმი—V. ტრფობა და არშიყობა, პაწაწა მოთხრობა (მოთხი თავი)—VI. ვთვალუწედენელი რუსეთის თვალუწედენელ მინდერებზე—VII. პეტერბურგის შთაბეჭდილება—VIII. სანზღვარს გარეთ—IX. ციუჩინი—X. საფრანგეთსა და ბერმანიას შუა—XI. პარიჟი—XII. პარიჟში გასეირნება—XIII. საუბარი ლუი-ბლანთან—XIV. რადიკალის რედაქციაში.)

მეხუთე და მეექვსე წიგნი
 შინაარსი: მ გ ო ნ ტ ე ლ ე ტ ნ ა რ ა გ ე დ ა . პირველი ნაწილი. მარგმანი ბ. წერეთლისა.— მ ვ ა რ თ ა ბ რ ძ ო ლ ა ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო შ ი , ბ . ბორისელისა — ა ჩ რ დ ი ლ ი (ხანა XVII), პოემა ილ. შავჭავჭავაძისა — მ ლ ე - ხ უ რ ი ს ი მ ლ ე რ ე ბ ი . ილ. შავჭავაძის შეკრებილთაგანი — მ გ ზ ა ე რ ი ს წ ი გ ე ბ ი პირველი ნაწილი. ბ. წერეთლისა — რ უ ს ე - თ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა . მიმოხილვა ნ. სკანდელი — მ თ ე ს ე ე ლ ი (ნიკიტინი) ლექსი — ჩ ე ე ნ ი მ წ ე რ ლ ო ბ ა : „გლახის ნამბობზე“, სტატია ნ. სკანდელისა.

განცხადება

პატივი მაქვს განუცხადო საზოგადოებას, რომ ამ წლის პირველის იელისიდგან, ბაჟის დაწესების შემდეგ, მე უფრო გავადიდე თამბაქოს კეთება და იმედი მაქვს, რომ კარგად დაეკმაყოფილო საზოგადოების მოთხოვნა, როგორც თამბაქოს სიმრავლით, იყ იმისი თვისებით. მისაც სურს შეუძლიან მივიდნენ პირდაპირ მაღაზიაში, რომელიც არის გენერალი არწრუნას სახლებში, სასახლის ქუჩაზედ (ბალაიენის პროსპექტზედ) შტაბის ახლოს. შამბრია ჩემი კონსულის ქუჩაზეა, ჩემს საკუთარს სახლებში, გენერალი აგაივის სახლის პირდაპირ.

ნიკოლოზ ბოჯარჯიანიცი.

საქართველოს და იმერეთის სომეხთ კანსისტორისა შინა გავლილ იელისის თვის 25ს დანიშნული ტორგი ტილისში მდებარე შჩიპაწის კუთვნილი მამულების ქირით მისაცემათ არ შესდგა, რადგანაც მოსურნე არ აღმოჩნდნენ, ამისთვის სინოდის ახალს ბრძანების ძალით დანიშნულია იმავე ავეგუსტის 27ს და 31 პერეტორჟვა ქვემო აღნიშნულ საეჩიპაწინო მამულების ქირით მისაცემათ:

- I, სამი დუქანი დიდ ბაზახანაში № 8, 9 და 10.
- 2, სამ ეტაჟიანი შენობა დამტი ხაჩისა შეითან ბაზარში, რომლის ქვემო ეტაჟში ერთი დიდი თავლა, შუა ეტაჟში ხუთი დუქანი თავისი ოთახებით და ზემო ეტაჟში ერთი ზალა, ოთხი ოთახი თავისი კუხნით და ორი ბალკონით № 1, 2, 3, 4, და 5.
- 3, მოთხი დუქანი, ერთი შუა ბაზარში და სამი ქურჩხანაში № 2, 3, 4 და 5.
- 4, მრთი ძველი ნაშენი ორ ეტაჟიანი პატარა სახლი უფო მოლნიის უბანში № 13
- 5. მრთ ეტაჟიანი სახლი თავის ეზოთი ფრანგების ეკლესიასთან ორი ოთახი ოთახი და ერთი ქუხნა.
- მაშასადამე მოსუნეთ შეუძლიანთ გამოცხადდნენ დანიშნულ დროს ქანსისტორიაში, სადაც ნახამენ კანდიციასა ყოველ დღეგარდა კვირისა და დღესწაული დღეებისა დროლის 9 გან შუადღის შემდეგ საათის 2-დის.